ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №3641577

ნომერი: AR1549444

თარიღი : 16.10.2017

გაცემის თარიღი : 30.10.2017

გაცნობის თარიღი : 05.11.2017

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა მცხეთა , N 48-50 / ქალაქი თბილისი , ქუჩა მარუხის გმირები , N 8 ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ირინა გოგელია პ/ნ 01017016021
- თბილისი ი.ნიკოლაძის ქ. N 6

ნომენკლატურა :

- საჯარო ინფორმაციის გამოთხოვა
- შეტყობინება არქიტექტურულ ობიექტზე

გადაწყვეტილება

სამსახურმა განიხილა თქვენი #AR1549444 ელექტრონული განაცხადი, რომლითაც ითხოვთ ქ. თბილისში, #01.14.11.041.026 საკადასტრო ერთეულზე 2017 წლის ივლისის თვეში ჩატარებულ ადმინისტრაციული წარმოების აუდიო ჩანაწერის და ზეპირი მოსმენის სხდომის ოქმის ასლს.

პასუხად გაცნობებთ, რომ 2017 წლის 26 ივლისის #AR1527656 განაცხადით სამსახურს მომართა მოქალაქე აბესალომ შავგულიძემ და მოითხოვა ქ. თბილისში, #01.14.11.041.026 საკადასტრო ერთეულზე მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის არქიტექტურული პროექტის შეთანხმება. ამავე დროს, სამსახურის ელექტრონულ ბაზაში ფიქსირდებოდა ირინა გოგელიას #AR1501455; #AR1508034, #AR1515759 და თეიმურაზ კალანდაძის #AR1517035; #AR1528079; #AR1528080 განცხადებები. აღნიშნულიდან გამომდინარე 2017 წლის 07 აგვისტოს ჩატარდა მარტივი ადმინისტრაციული წარმოების ზეპირი მოსმენის სხდომა.

თქვენი მოთხოვნის საფუძველზე გიგზავნით #ო-181 (08.08.17წ.) მარტივი ადმინისტრაციული წარმოების ზეპირი მოსმენის სხდომის ოქმის ასლს, შესაბამისი წესით დამოწმებულს და აუდიო ჩანაწერს.

გაცნობებთ, რომ საჯარო ინფორმაციის ასლის გადაღების მოსაკრებლის შესახებ კანონის მე-8 მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად - სახელმწიფო ხაზინის ერთიან ანგარიშზე უნდა შეიტანოთ ასლის გადაღების მოსაკრებელი - 2 ლარის და 70 თეთრის ოდენობით. აღნიშნული დოკუმენტაცია შეგიძლიათ გაიტანოთ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული შენობის პირველი სართულიდან (სივრცე #4), შეტყობინების მიღებიდან მეორე სამუშაო დღეს, გატანის დროს საჭიროა წარმოადგინოთ აღნიშნული თანხის გადახდის დამადასტურებელი ქვითარი.

დანართი: 1 ფურცელი და 1 ელექრონული ვერსია.

1.მიმღები: ხაზინის ერთიანი ანგარიში
2.მიმღები ბანკი: სახელმწიფო ხაზინა
3.ბანკის კოდი: TRESGE22
4.ანგარიშის ნომერი: 200122900
5.სახაზინო კოდი: 300773173
6.გადახდის დანიშნულება: საჯარო ინფორმაციის ასლის გადაღების მოსაკრებელი. (#AR1549444 16.10.2017წ.)
